სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

MES 2 23 0000997674

15/08/2023

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2023 წლის 01 აგვისტოს N952997 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N 122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის - წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მდივნის, ასისტენტ-პროფესორის შორენა წიგნაძის სამსახურებრივი ბარათისა (15/08/2023წ; N997587) და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 11 აგვისტოს N15 ოქმის მესამე საოქმო დადგენილების საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება, სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2023 წლის 01 აგვისტოს N952997 ბრძანებაში, კერძოდ, ბრძანების მე-3 და მე-5 პუნქტებში და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„ 3. კონკურსში მონაწილეთა რეგისტრაცია (საბუთების მიღება) დაიწყოს2023 წლის 04 სექტემბერს10:00 საათზე და დასრულდეს 2023 წლის 15 სექტემბერს17:00 საათზე;"

„ 5. კონკურსის ჩატარების დღედ განისაზღვროს2023 წლის 19 სექტემბერი;"

2. წინამდებარე ბრძანება წარმოადგენს უნივერსიტეტის რექტორის 2023 წლის 01 აგვისტოს N952997 ბრძანების განუყოფელ ნაწილს;
3.ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსს (ქ. ხმალაძე);
4.დაევალოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (ს.რამაზაშვილი) განცხადების გაზეთში გამოქვეყნება;

5.დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს (ნ. კახაშვილი) ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;
6. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე;
7. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ფაკულტეტებს;
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N41).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები
სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
ჭკადუა შალვა